ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

ა.ა. #201

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ **ირაკლი ალასანიას**

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მიმართვა

ბატონო ირაკლი,

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" მოგმართავთ თხოვნით, რათა სათანადო ყურადღება დაეთმოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე საკადრო და სისტემური საკითხების მოგვარებას და არსებული სირთულეების დროის მოკლე ვადაში აღმოფხვრას.

როგორც ორგანიზაციას სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა აცნობეს, შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში ინფექციური დაავადებების რიცხვმა იმატა. საუბარია ჩუტყვავილას გავრცელებაზე გორის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებულ ვაშლიჯვრის სპეცნაზმის მოსამსახურეებში. ჩვენი ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესში, დაშვებულ იქნა შეცდომა. ჩუტყვავილას ვაქცინაციის ნაცვლად, განხორციელდა სხვა ვირუსული დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო დახმარება. კერძოდ, საუბარია მოსამსაუხრეებისათვის, ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიღების ნაცვლად, ე.წ. „ცოფის აცრების" გაკეთებაზე, რაც სამინისტროს მხრიდან, შესაბამის განმარტებებსა და შეფასებას საჭიროებს.

„ახალგაზრდა ადვოკატებს" მიგვაჩნია, რომ უკვე მერამდენედ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სისტემურ და საკადრო პრობლემებს აქვს ადგილი. ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევები არაპროფესიონალიზმზე და სისტემაში საკადრო პოლიტიკის ხარვეზებზე მიუთითებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს, როგორც გორის სამხედრო ბაზაზე მომხდარი ფაქტი, ასევე გადაიხედოს სამინისტროს საკადრო პოლიტიკაც. პასუხს მოითხოვს პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციაც. რომლის თანახმადაც, თავდაცვის სამინისტროში, დღემდე, მაღალ თანამდებობებს, ყოფილი კუდ–ის და სოდი–ის ყოფილი მაღალი უფლებამოსილების მქონე პირები

იკავებენ. არსებული ინფორმაციით, სწორედ სამხედრო პოლიციაა დაკომპლექტებული კუდ–ისა და სოდ–ის ყოფილი თანამშრომლებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ვერ მიიღწევა უწყების ყველაზე მნიშვნელოვანი – უსაფრთხოების დაცვა. სამინისტროს მხრიდან, ამ მიმართულებით, უპასუხოდაა დატოვებული 2013 წლის 9 აგვისტოს, ავტორიტეტულ გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაც, რომლიც საკადრო პოლიტიკის შეცდომებზე კონკრეტულ ფაქტებს შეიცავს.

„ახალგაზრდა ადვოკატები" კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, რათა დროულად მიიღოთ გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის. სამწუხაროა, როდესაც სამინისტრო დღემდე უპასუხოდ ტოვებს ორგანიზაციის მიერ გახმაურებულ ფაქტს, სენაკის სამხედრო ბაზაზე, 52 ჯარისკაცის საკვებით მოწამვლის შესახებ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევაც, სწორედ არასწორი მმართვის მენეჯმენტისა და საკადრო პოლიტიკის შედეგია. ორგანიზაციამ ფაქტის შესახებ უკვე მოგწერათ 2013 წლის 31 ივლისის (შიდა #142) წერილით, თუმცა უპასუხოდ.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

19 აგვისტო, 2013
ქ. თბილისი